თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 09 მარტი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	–ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ვარლამიშვილის ქ. №4–ის არკის - სვეტების გამაგრების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ (საკონკურსო განცხადების №349. 02.03.2012).

განხილვა: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ კოტე რატიანმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა – შ.პ.ს ,,პრაიმპლასტმა".

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

შ.პ.ს ,,პრაიმპლასტმა" წარმოადგინა საკონკურსო წინადადება 423 (ოთხასოცდასამი) ლარზე (დღგ–ს გარეშე).

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 07 მარტის 12:30 საათამდე პერიოდით.

შ.პ.ს ,,პრაიმპლასტი"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ვასილ მებურიშვილმა და ლევან ჭანჭალეიშვილმა.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.
შ.პ.ს ,,პრაიმპლასტმა" მიიღო 32,6 ქულა.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ირაკლი გიორგაძემ და ვასილ მებურიშვილმა.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ვარლამიშვილის ქ. №4–ის არკის სვეტების გამაგრების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს ,,პრაიმპლასტი".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: **დავით ანდღულაძე**

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: **კოტე რატიანი**

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე